



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

08 აპრილი 2024



N 186/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, შპს „მშენებელი 2004“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „მშენებელი 2004“-ის (ს.კ 216399626) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 13 სექტემბერს (წერილი N8929) წარმოდგენილია ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N480/ს (22.09.2023)) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „BS Group“-ის მიერ.

2009 წლის 20 ივლისს შპს „მშენებელი 2004“-ის ცემენტის წარმოებაზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №70¹, რომლის საფუძველზე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 19 მაისს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-714).

ქ. რუსთავში შპს „მშენებელი 2004“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე 2023 წლის 9 მარტს გაცემული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (N 112/ს), რომლის თანახმად, საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

შპს „მშენებელი 2004“-ის მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N12/ბრძანება N268/ს; 14.06.2023).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/10215), შპს „მშენებელი 2004“-ის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N643). კერძოდ: დაზუსტდა ინფორმაცია მტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობის, 8 ტონა/საათი წარმადობის ცემენტის წისქვილის ციკლონისა და სახელოიანი ფილტრის საპასპორტო მონაცემების შესახებ; სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის მართვის შესახებ; კლინკერის, ღორღის და თაბაშირის დასაწყობების შესახებ; დაზუსტდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა თვითმონიტორინგის გეგმა; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების შესახებ

ინფორმაცია; ასევე წარმოდგენილ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების კორექტირებული პროექტი. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N50/ს (29.01.2024)), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2023 წლის 11 ოქტომბერს განხორციელდა ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №1-ში განთავსებული შპს "მშენებელი 2004"-ის კუთვნილი ცემენტის საწარმოს ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში 8 ტ/სთ წარმადობის წისქვილში (რომელიც არ იყო განხილული გზშ-ის ანგარიშში (ბრძანება N2-714)) მიმდინარეობდა ცემენტის დაფქვის პროცესი, ხოლო წარმოებაში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, კომპანიას არ გააჩნია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "მშენებელი 2004"-ის მიმართ, 2023 წლის 17 ნოემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №084200 ოქმი, რომელიც 2023 წლის 22 ნოემბერს, განსახილველად გადაეგზავნა ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არსებული ცემენტის საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში (მშვიდობის ქუჩა №1), შპს „მშენებელი 2004“-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6873 მ² ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.05.02.113). საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს (ს/კ 02.05.02.317) 172 მეტრის დაშორებით. საწარმოს მიმდებარედ, დაახლოებით 12 მეტრში, განთავსებულია ი.მ. „იოსებ წოწოლაშვილის“ სამშენებლო ბლოკის საწარმო (ს/კ 02.05.02.144), შპს „ხაშმის“ (ს/კ 02.05.05.001) ავტოგასამართი სადგური მდებარეობს საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 92 მ-ში, კავკასიის კოოპერაციის ფონდი მოზარდთა განვითარებისათვის (ს/კ 02.05.10.009; 02.05.10.001) მდებარეობს საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 120 მეტრში. ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 22 მეტრის დაშორებით მდებარეობს თბილისი-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზა. მიწის ნაკვეთი შემოღობილია კაპიტალური ღობით, ხოლო ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია არაქმედებისა და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა წარმოებული პროდუქციის საჭიროებისა და პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად ვინაიდან საწარმო 2009 წლიდან ფუნქციონირებს და ტერიტორია არ წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ უბანს, ამასთან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის თბილისი-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ქალაქის ცენტრალური უბნების გვერდის ავლით ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირება, საწარმოს არსებულ ადგილმდებარეობას მიენიჭა უპირატესობა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში არსებული მდგომარეობით, განთავსებულია 3 ტ/სთ და 8 ტ/სთ წარმადობის ბურთულეებიანი წისქვილები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გათვალისწინებულია საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში ორივე წისქვილის გამოყენება. საწარმოში არსებული ტექნოლოგიური დანადგარების ნაწილი, მათ შორის: ნედლეულის საწყობი, ცემენტის სილოსები, ცემენტის გაცემის ტექნოლოგიური დანადგარები გამოყენებული იქნება საერთო სარგებლობაში ორივე წისქვილისთვის. ორივე წისქვილის ექსპლუატაციის შედეგად, საწარმოს წლიური წარმადობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-714) გათვალისწინებული 18000 ტონა ცემენტის ნაცვლად, გაიზრდება 35640 ტონამდე. კერძოდ: 8 ტ/სთ წისქვილის წლიური წარმადობა იქნება 17600 ტონა, რისთვისაც გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა იქნება: კლინკერი - 14100ტ, თაბაშირი - 900 ტ, ლორღი - 2600 ტ. 3 ტ/სთ წისქვილის წლიური წარმადობა იქნება 18040 ტონა, რისთვისაც გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა იქნება: კლინკერი- 14400 ტ, თაბაშირი - 940 ტ, ლორღი - 2700 ტ.

8 ტ/სთ წარმადობის წისქვილი იმუშავებს 110 სამუშაო დღე 20 საათიანი სამუშაო გრაფიკით, ხოლო 3 ტ/სთ წარმადობის წისქვილი იმუშავებს 300 სამუშაო დღე 20 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ საწარმოში დასაქმებული იქნება 20 ადამიანი.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოში, დაგეგმილია ბეტონის საწარმოო ხაზის გაუქმება, რომელიც საწარმოში ფუნქციონირებდა არსებული გადაწყვეტილებით, ხოლო დღეის მდგომარეობით აღარ ფუნქციონირებს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიაზე კლინკერის და დანამატების შემოტანა ხდება მაღალი ტვირთამწეობის ავტოთვიტმცლელებით. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კლინკერის დაცლა მოხდება მარიანი ავტოტრანსპორტით საწყობის შესასვლელთან, რომელიც წარმოადგენს სამი მხრიდან დახურულ, ჭერის მქონე ნაგებობას. ხოლო დაცლის შემდგომ კლინკერის გადატანა საწყობის სიღრმეში მოხდება ბორბლებიანი სატვირთელით. დანამატების (ღორღი, თაბაშირი) ჩამოცლა ავტოტრანსპორტიდან მოხდება ორი მხრიდან კედლების მქონე საწყობში და შემდგომ ბორბლებიანი სატვირთელის საშუალებით განთავსდება ორი მხრიდან კედლების მქონე, ზემოდან გადახურულ საწყობში. საწყობებიდან ნედლეული კოვშიანი სატვირთელით დოზირებულად მიეწოდება როგორც 3 ტ/სთ, ასევე 8 ტ/სთ წარმადობის ბურთულეებიანი წისქვილების მკვებავ ბუნკერებს, რომელთა ქვეშ დამონტაჟებული ლენტური ტრანსპორტიორებით კაზმი იყრება ბურთულეებიან წისქვილებში. ბურთულეებიანი წისქვილები, ასევე მათი მკვებავი ბუნკერები, კომპრესორი და ლენტური ტრანსპორტიორი განთავსებულია ორი მხრიდან კედლების მქონე გადახურულ ნაგებობაში. ნედლეულის მიღება/დასაწყობებას ადგილი აქვს დღის განმავლობაში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

წისქვილიდან დაფქული პროდუქტი (ცემენტი) გადაიტვირთება ტერიტორიაზე არსებულ 7 საერთო სილოსში (3 ერთეული - თითოეული 80 ტონა, 4 ერთეული - თითოეული 50 ტონა), დახურული ხრახნული კონვეიერის საშუალებით. სილოსებიდან ცემენტის გაცემა მოხდება როგორც ცემენტშიდებზე, ასევე ტომრებში. ცემენტშიდებზე გადატვირთვის პროცესში გამოიყენება ჩამტვირთავის სახელო, ხოლო ტომრებში დაფასოებისას - დამფასოებელი დანადგარის გამოყენება. ცემენტის დაფასოება ხდება სამი მხრიდან დახურულ ნაგებობაში.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირება ხორციელდება ძარაგადახურული ავტოტრანსპორტით, თბილისი-გაჩიანი-რუსთავის გზატკეცილის გავლით, ასფალტირებული საავტომობილო გზით, რომელიც დასახლებული არ არის. ტრანსპორტის მოძრაობა ხდება მხოლოდ დღის საათებში, ხოლო ღამის საათებში აკრძალულია როგორც ნედლეულის, ასევე პროდუქციის გატანა-შემოტანა. საწარმოს სრული დატვირთვის პირობებში ნედლეულის მიღებისათვის გათვალისწინებულია დღეში მაქსიმუმ 7 ერთეული ავტოთვიტმცლელის, ხოლო პროდუქციის გატანისათვის - 5-6 ერთეული ცემენტშიდის გამოყენება.

დოკუმენტაციაში ასახულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: ცემენტის მტვერი და არაორგანული მტვერი. იდენტიფიცირებულია 23 ერთეული სტაციონარული გაფრქვევის წყარო, 2 ორგანიზებული გაფრქვევის და 21 არაორგანიზებული გაფრქვევის წყარო. მათ შორის როგორც წისქვილი, ასევე ნედლეულის საწყობი, მიმღები ბუნკერი, ლენტური კონვეიერი, მზა პროდუქციის საწყობი, ცემენტის სილოსი, ცემენტის დაფასოების და გაცემის უბნები. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის პირობების გათვალისწინებით, სადაც ფონური მნიშვნელობის სახით გათვალისწინებულია ი.მ. „იოსებ წოწოლაშვილის“ ბლოკის საწარმოს მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მონაცემები, ასევე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი რეკომენდაციები. ანგარიშის მიხედვით

დგინდება, რომ ექსპლუატაციის პროცესში საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც უახლოეს მოსახლესთან (172 მ საწარმოდან, 213 მ - ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან), ისე 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს (მაქსიმალური კონცენტრაცია არაორგანული მტვერის, ზდკ-ს წილი 0,54 მგ/მ³). ამდენად საწარმოს ფუნქციონირება არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

თითოეული წისქვილისათვის ატმოსფერულ ჰაერში მტვერის გაფრქვევის შემცირების მიზნით მოწყობილია მტვერდამჭერი კამერა, სადაც გამოყოფილი მტვერი გაივლის ციკლონებში და შემდგომ ორ, ერთმანეთის მიმდებარედ განლაგებულ სახელოიან ფილტრებში. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამივე ფილტრის ერთდროული ფუნქციონირებისას მათი მტვერდამჭერის ხარისხი შეადგენს 99,9 %-ს. ბურთულებიანი წისქვილებიდან წარმოქმნილი მტვერი 3 ტ/სთ ბურთულებიანი წისქვილის შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა 12 მეტრი სიმაღლის (დიამეტრი 0,3 მეტრი) მილით, ხოლო 8 ტ/სთ ბურთულებიანი წისქვილის შემთხვევაში - 9 მეტრი სიმაღლის (დიამეტრი 0,4 მეტრი) მილის საშუალებით, რომელზეც მტვერის კონცენტრაციის უწყვეტი მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, მოწყობილია უწყვეტი მონიტორინგის დანადგარი. ანალოგიური დანადგარის მოწყობა დაგეგმილია 3 ტ/სთ ბურთულებიანი წისქვილის მტვერის გაფრქვევის მილზე. მტვერდამჭერებში წარმოქმნილი მტვერი ბრუნდება სპეციალურ ბუნკერში, საიდანაც გადაიტვირთება სილოსებში. სილოსებიდან ცემენტის ჩატვირთვისას წარმოქმნილი მტვერი გაივლის სილოსების კედლებზე დატანილ მილებში, რომლებზეც ჰერმეტიკულადაა დამაგრებული ტომრები (რომლებიც განიხილება როგორც ქსოვილის ფილტრი). სამუშაო დღის დასრულების შემდგომ ხდება ტომრების მოხსნა მილებიდან და მასში დაგროვილი მტვერის გადატანა მტვერდამლექ კამერაში. დამატებით წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ზემოაღნიშნული ფილტრების ეფექტურობის დასადგენად ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგების მიხედვით მტვერდამჭერის ეფექტურობა შეადგენს 98,94%-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში 338.54 მ³/წელ წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, მათ შორის ტერიტორიის მორწყვისთვის 10 მ³/წელ და საბურავების წყლის მცირე ჭავლით რეცხვისათვის 3 მ³/წელ. წყალმომარაგება მოხდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების სისტემიდან. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და საბურავების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლების შეგროვება ხდება ტერიტორიაზე არსებულ საასენიზაციო ორმოში. მისი გატანა ხორციელდება საასენიზაციო მანქანის საშუალებით.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს ორი ბურთულებიანი წისქვილის, ორი ლენტური ტრანსპორტიორის და ერთი საერთო კომპრესორის მუშაობა. გზმ-ის ანგარიშში მოცემული გათვლების მიხედვით, საწარმოო ობიექტისგან მოსალოდნელი ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან შეადგენს 37დბა-ს. ამასთან, გზმ-ის ანგარიშის თანახმად საწარმოს მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მათ შორის მანქანა-დანადგარების სისტემატური კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ტერიტორიაზე ნედლეულის მიღება ან/და პროდუქციის გაცემა გამორთული ძრავის პირობებში და სხვა.

საწარმოს საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სახეობის და სახიფათობის მიხედვით. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამის კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიებს. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა აირმტვერნარევის გაწმენდის შემდეგ დაჭერილი ცემენტის მტვერი ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით გზმ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.

საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ, როგორც უკვე აღინიშნა, განთავსებულია სხვადასხვა საწარმო ობიექტები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას, ფონის სახით გათვალისწინებული იქნა ატმოსფერულ ჰაერში ანალოგიური მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროების მქონე მიმდებარედ არსებული ი.მ. „იოსებ წოწოლაშვილის“ სამშენებლო ბლოკის საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ინტენსივობები. ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ აღნიშნული საწარმოების ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის უახლოეს მოსახლესთან მიმართებით. ამასთან, ანგარიშის თანახმად მიმდებარედ მოქმედი არცერთი საქმიანობა არ წარმოადგენს მაღალი ან საშუალო ხმაურის გამომწვევ საქმიანობას და საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის ჯამური დონე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებას, ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტის (თბილისი-გაჩიანი-რუსთავის გზატკეცილი), მისი დატვირთვის და შპს „მშენებელი 2004“-ის სატრანსპორტო ოპერაციების ჯერადობის (როგორც ანგარიშიდან ირკვევა დღის განმავლობაში არაუმეტეს 13 სატრანსპორტო ოპერაცია) გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების და ხანძარქრობის საშუალებების, მათ შორის შესაბამისი ინვენტარის გამოყენების შესახებ. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში არ არის დაგეგმილი ახალი ტერიტორიების ათვისება, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აგრეთვე პროექტის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. ამასთან ანგარიშის შესაბამისად, დასახლებული პუნქტის მიმართულებით დაგეგმილია დამატებითი გამწვანების ზოლის მოწყობა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამი და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 26 ოქტომბერს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, გზშ-ის ანგარიშის მომამზადებელი საკონსულტაციო კომპანია შპს „BS Group“-ის, შპს „მშენებელი 2004“-ის და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაში მონაწილე პირი დაინტერესდა საწარმო ფუნქციონირება და თუ არა დღეის მდგომარეობით, კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით დღეის მდგომარეობით პერიოდულად ხდება 3 ტ/სთ წარმადობის წისქვილის შეკეთება და ფუნქციონირება. დაინტერესებული პირის მიერ ასევე დაისვა კითხვა 3 ტ/სთ წარმადობის წისქვილის უწყვეტ მონიტორინგის სისტემაში ჩართვასთან და ბეტონის წარმოებასთან, დაკავშირებით, რაზეც განიმარტა, რომ წისქვილის რემონტის შემდეგ მოხდება უწყვეტი მონიტორინგის დანადგარის მონტაჟი და თვითმონიტორინგის უწყვეტ სისტემაში ჩართვა, ხოლო ბეტონის წარმოების გაუქმების შესახებ ინფორმაცია ასახულია გზშ-ის ანგარიშში. შეკითხვები ეხებოდა ასევე სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას, ნედლეულის ჩამოტვირთვით გამოწვეულ ამტვერების პრევენციულ ღონისძიებებს, კუმულაციურ

ზემოქმედებას, წყლის მართვას, რასთან დაკავშირებითაც საკონსულტაციო ორგანიზაციის მიერ გაკეთებული იქნა განმარტებები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილი იყო სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წერილობითი შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ნედლეულის საწყობებიდან მტვრის გავრცელებას, საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო სტენდის არსებობას, მტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობას, ხმაურის გავრცელებას, გამწვანების ზოლის მოწყობას. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა შპს „მშენებელი 2004“-ის მიერ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით განმარტებები მოცემულია თანდართულ ცხრილში.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში, შპს „მშენებელი 2004“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. შპს „მშენებელი 2004“-მა საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
3. შპს „მშენებელი 2004“-მა უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების შესრულება;
4. შპს „მშენებელი 2004“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილების შესაბამისად თვითმონიტორინგის მიზნით, უზრუნველყოს ცემენტის წისქვილებზე მტვრის ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრა უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით;
5. შპს „მშენებელი 2004“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგისა და შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის (საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების გათვალისწინებით) ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოეს მოსახლესთან (მონიტორინგის სიხშირის, მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS კოორდინატების, სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის და მონიტორინგს დაქვემდებარებული მავნე ნივთიერებების მითითებით, მათ შორის აისახოს მავნე

ნივთიერება მტვერზე (TSP) საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ მონიტორინგისა და წელიწადში ერთხელ სააგენტოში შედეგების წარმოდგენის საკითხი). მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია. ასევე გეგმაში მოცემული უნდა იყოს სილოსებზე არსებული მტვერდამჭერი სისტემების (ტომრების) ეტაპობრივად ან სრულად ჩანაცვლების ღონისძიებების კონკრეტული გრაფიკი, ხოლო აღნიშნული სისტემების სრულად ჩანაცვლებამდე, არსებული სისტემის ეფექტურობის ყოველკვარტალური ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხი. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

6. შპს „მშენებელი 2004“-მა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირების სქემისა და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება. აღნიშნულ გეგმაში გათვალისწინებული იყოს ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე ნედლეულისა და პროდუქციის მარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება, ასევე ღამის საათებში ტრანსპორტირების აკრძალვა;
7. შპს „მშენებელი 2004“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა. ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
8. შპს „მშენებელი 2004“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;
9. შპს „მშენებელი 2004“-მა საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, 3 თვეში ერთხელ, უზრუნველყოს ხმაურზე მონიტორინგის განხორციელება ინსტრუმენტული მეთოდით უახლოეს მოსახლესთან და შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში წელიწადში ერთხელ. მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმება. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული ღონისძიებების შესაბამისად;
10. შპს „მშენებელი 2004“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს დასახლებული პუნქტის მიმართულებით გამწვანების ზოლის მოწყობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი მოვლა-პატრონობა;
11. შპს „მშენებელი 2004“-მა საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
12. შპს „მშენებელი 2004“-მა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. შპს „მშენებელი 2004“-მა ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
14. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მშენებელი 2004“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
15. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მშენებელი 2004“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
16. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

